**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გვრანცოვი ძმების შირდაშირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

14 აგვისტოს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში სულ 7 ხოლერით ავადმყოფი იყო: ივანე კაჩატკოვი, სეროფ ოსიფოვი, რასულ აჰმედ-ოღლი, კონსტანტინე მაჰავარიანი, ტიგრან ტიგრანოვი, მარგარიტა ყარაგოზოვისა და ადამ პეტროსოვი.

აგვისტოს 14-ს ხოლერით ავად გახდა ორი კაცი პოლიციის მეხუთე განყოფილებაში: დარჩო საakოვი, რომელიც სცხოვრობდა სალაყბოზე ყორღანოვის სახლში, და პოლიციის მეცხრე ნაწილში ადამ ტროიანსკი, რომელიც სცხოვრობდა მიხეილის ქუჩაზე, სახლში № 59. ორივე ავადმყოფი პოლიციამ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა.

წინანდელ ხოლერით ავადმყოფთაგან აგვისტოს 14 ს ორი გარდაიცვალა: ადამ პეტროსოვი, რომელიც წინა დღეს გახდა ხოლერით ავად პოლიციის მესამე ნაწილში, და მარგარიტა ყარაგოზოვისა, რომელიც ხოლერით ავად გახდა 12 აგვისტოს.

აგვისტოს 15-ს დილით მიხეილის საავადმყოფოში სულ 7 ხოლერით ავადმყოფი იყო.

რკინის გზის საავადმყოფოში 14 აგვისტოს, დილით, სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო: პეტრე მარკელოვი, პორფირე კისელევსკი და გრიგორ კისელევსკი. ამ თთვის 14 მათგან მორჩა და გამოიწერა საავადმყოფოდგან პეტრე მარკელოვი, აგვისტოს 15-ს მორჩა და გამოიწერა საავადმყოფოდგან პორფირე კისელევსკი. 16 აგვისტოს, დილით, რკინის გზის საავადმყოფოში მარტო ერთი ავადმყოფი იყო: გრიგორ კისელევსკი.

სამხედრო საავადმყოფოში 14 აგვისტოს, დილით, სულ ორი ხოლერით ავადმყოფი იყო: სტანისლავ ჩარკოვსკი, რომელიც საღამოს 11 საათზე გარდაიცვალა და ჯარის კაცი ვლადიკავკავის პოლკისა იუდელ სეგალი, რომელიც 15 აგვისტოს გადაიყვანეს სხვა განყოფილებაში, რადგანაც ხოლერით ავადმყოფი არ აღმოჩნდა. აგვისტოს 16, დილით, სამხედრო საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფი არც ერთი არ იყო.

ავისტოს 15-ს მიხეილის საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფი არავინ არ მიუყვანიათ და ამ დღეს ტფილისში ხოლერით არავინ არ გამხდარა ავად.

ამავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში მორჩა ხოლერით ავადმყოფი და გამოიწერა სპარსეთის ქვეშევრდომი რასულ ახმედ-ოღლი.

ამავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალნენ სამნი ხოლერით ავადმყოფნი: 1) ადამ ტროიანსკი, რომელიც წინა დღეს გახდა ხოლერით ავად, 2) ივანე კაჩატკოვი, რომელიც ამ თთვის 6-ში გახდა ავად, და 3) დარჩო საakოვი, რომელნიც წინა დღეს გახდა ხოლერით ავად.

აგვისტოს 16-ს, დილით მიხეილის საავადმყოფოში სულ სამი ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

10 აგვისტოს, ავლაბარში, მეორე ლინეიხი და ეტაპის ქუჩების კუთხეზე, № 24 სახლში, გახდა ავად გულის რევით და ფაღარათობით ნინა ხალათოვისა, რომელსაც ხოლერა აღმოაჩნდა. ავადმყოფს სახლშივე წამლობენ.

გუშინ დილით ტფილისში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო,

ქალაქ ფოთში აგვისტოს 8 დილით სულ რვა ხოლერით ავადმყოფი იყო. ოთხის დღის განმავლობაში, 8—12 აგვისტოს, ხოლერით კიდევ ავად გახდა ერთი კაცი. ამავე დროს მორჩა სამი, გარდაიცვალა ორი და 12 აგვისტოს, დილით, სულ 4 ავადმყოფი იყო ხოლერით.

ქუთაისის გუბერნიაში, სენაკის მაზრაში, ხოლერა გაჩნდა შემდეგ სოფლებში: საჩოჩიო, ქალადიდი, ნაშიყალავუ, ლებაჩი და ნალეფსოვუ. მთელს მაზრაში აგვისტოს 5-ამ 13-მდე სულ ცამეტი კაცი გახდა ხოლერით ავად, რომელთაგანაც ათი გარდაიცვალა.

რუსეთის ელჩი ბაღდადიდგან (სპარსეთში) იუწყება დეპეშით, რომ აგვისტოს 12-ს ბაღდადში ხოლერა გაჩნდაო.

შინაგან საქმთა მინისტრი აცხადებს დეპეშით, რომ ქალაქ სმირანაში (ოსმალეთი) და ბასსორის ვილაიეტში ხოლერა გაჩნდაო.

## ახალი ამბავი

*** მის მაღალ-ყოვლად-უსამღდველოესობის საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირის თაოსნობით სიონის ტაძრის გალავანში 14 აგვისტოდგან გაიმართა უფასო საჩაიე, სადაც ღარიბ ხალხს შეუძლიან ჩაი სვას მუქთად, ვიდრე ტფილისში ხოლერა არ მოისპობა.

ასეთივე უფასო საჩაიები გაიმართა კუკიაში, ალექსანდრე ნეველის ეკკლესიასთან და ტფილისის მეექვსე ნაწილში, მირზოევის აბანოსთან.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ დ. აწყურელისაგან მის-მიერ ს. აწყურში შეკრებილი 11 მან. და 35 კაპ. რუსთველის ძეგლის ასაგებად. შემოწირულთა სიას ქვევით ვბეჭდავთ. ამ ფულისა იყო 119 მან. 25 კაპ. შესდგა 130 მან. 60 კაპ.

*** მივიღეთ კიდევ 16 მანათი ქალაქ მეშედიდგან ალექსანდრე სიმონის ძის ლოლუასაგან, რომელიც გვთხოვს, 5 მან. გადავსცეთ „წერა-კითხვის საზოგადოებას“, 5 მანათი მივუმატოთ ღარიბ ლიტერატორთა ფონდს და 5 მანათი რუსთაველის ძეგლის ასაგებად. სალიტერატორო ფონდისა ამ ფულით შესდგა 348 მან. 9 კაპ. ხოლო რუსთველის ფონდისა—135 მ. 60 კაპ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში 6 ოქტომბრისთვის დანიშნულია გასარჩევად საქმე ბებია სიმპლიცკისა, რომელსაც ბრალდება, რომ შარშან ერთს ქალს მუცელი წაუხდინა და ამის გამო ქალი გარდაიცვალა.

*** 14 აგვისტოს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მე-281 ვერსზედ ცხენების ვაგონში ერთი ცხენი გაგიჟდა და ვაგონიდგან გადმოაგდო ყუბანის პოლკის ყაზახი სიმონ ბეკეტოვი. ყაზახმა თავი დაჰკრა დედამიწას და ტვინი შეერყა. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** სოფ. ვაჭარი (სიღნაღის მაზრა): მოარულებმა არ დასტოვეს ჩვენი სოფელი უყურადღებოდ: ყვავილმა და ყელ-ჭირვებამ, რომლებიც უფრო გავრცელებულია, ესრედ წოდებულ ხელაანთ უბანში, ბევრ ყმაწვილს მოუსპეს სიცოცხლე.

ამას გარდა საქვეო ავადმყოფობამ—მუცლის გლეჯამ, პირ-ღებინებამ და ფაღარათობამაც იჩინა თავი.

*** მარელისი (რკინის გზის სადგური): 13 აგვისტოს, ღამე, ორი უცნობი კაცი დაეცა მარელისის სადგურის უფროსს ბირდიკინს და კეტებითა სცემეს; მძიმედ დაუშავეს თავი, ხელები და მარჯვენა გვერდი. ავაზაკები გაიქცნენ. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** სოფ. ხუმლაგა (კავკავის მაზრა): 9 აგვისტოს აქ ერთი საცოდაობა დატრიალდა აქ მცხოვრების ქაშაბიევის სახლში. ქაშაბიევი დიდი და შეძლებული ოჯახია. დიდები ყველანი სამუშაოდ იყვნენ მინდვრად, გარდა ბავშვებისა და დიასახლისისა. დიასახლისს ვახშამი მოემზადებინა, როგორც შეეფერება გლეხ-კაცობას, მთელ ჯალაბის სამყოფი საჭმელი მოეხარშა და შემდეგ ძირს ჩამოედგა. პერანგა ყმაწვილები, საღამომ რომ მოატანა, ჩვეულებისამებრ აირივნენ შინ და ზოგი რას თხოულობდა, ზოგი—რას. საუბედუროდ ერთმა ყმაწვილმა ორის წლის ყმაწვილს გულში ხელი ჰკრა. ყმაწვილი წაბარბაცდა, ქვაბში გულ-დაღმა ჩაეცა და ჩაიზნიქა. დიასახლისი ამ დროს გარედ იყო. წივილზედ შემოვარდა და ქვაბიდგან საზარლად გაფუფქული ყმაწვილი ამოიღო. საცოდავმა მეორე დილამდინ იცოცხლა და მერე-კი განუტევა სული.

*** არშაკ შანშიევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 15 აგვისტოს დილის 6 საათზე საბოტანიკო ბაღის გალავნის გვერდით მეძინა და ამ დროს გიორგი ჯულაშვილმა 68 მან. ღირებული ვერცხლის ქამარი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს.

*** 15 აგვისტოს, ღამის 12 სათზე, ჯარისკაცად ნამყოფი ივანე ნეზალენკო თავის ცოლითა და რამდენსამე ნაცნობით ბაზრის ქუჩაზე მიდიოდა. წინ დაუხვდა რამდენიმე კაცი და ჩხუბი გაუმართა. ამ დროს ნეზალენკოს ჯიბიდგან 18 მან. ღირებული საათი მოჰგლიჯეს გულიდამ და იმის ცოლს 8 მანეთიანი ოქროს სამაჯური. ნეზალენკომ ყვირილი მორთო და დამნაშავენი გაიქცნენ, მხოლოდ ერთი ამათგანი შეიპყრო პოლიციამ.

*** ამავე დღეს ალექსანდრეს ბაღში, საცა მუსიკას უკრავენ, ღამის 12 საათზე დაეძინა სიღნაღის მცხოვრებელს ალექსანდრე ანდრიაზაშვილს. მძინარეს დაეცა სამი ავაზაკი და ჯიბიდგან 15 მანეთი ამოაცალეს. ერთი-დამნაშავეთაგანი, აბანოს მექისე ალი სადიჰოღლი პოლიციამ შეიპყრო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ბარის-ოსეთი.** სამწუხაროდ, ბარის-ოსეთში ხელ-მეორედ ხშირდება ქურდობა. ამ თთვის სამს სოფ. ხუმელაგაში ერთი მარტოხელა კაცი, გაცირა ყაითმაზოვი, მუშაობით დაქანცული მოვიდა შინ საღამოს და დაწვა. შუაღამე გადასული იქმნებოდა, რომ მყეფრის ხმა სხვანაირად შემოესმა. გაცირა ნამძინარევი წამო-

## ფელეტონი

### საბიბლიოგრაფიო წერილი

„ქრისტინე“—მოთხრობა ე. ნინოშვილისა, 1893 წელი.

სულ მცირე ხნის განმავლობაში „ივერიის“ ფურცლებზედ საზოგადოების სამართლიანი ყურადღება დაიმსახურა სამმა მოთხრობათა მწერალმა ახალგაზდამ—დუტუ მეგრელმა, ე. ნინოშვილმა და არაგვისპირელმა. გასაშტერებელი და წრეს გარეშე დასაყენებელი ხელოვნური ნაწარმოები ჯერ არც ერთს მათგანს არ მიუცია ქართველ მკითხველისათვის. მაგრამ, როდესაც იგულისხმებთ სიღარიბეს ჩვენის მწერლობისას, სადაც მოთხრობას არა აქვს სათანადო თავშესაფარი და იძულებულია თავისი სიგძე სიგანე შეუფარდოს ვიწროდ შემოფარგლულს გაზეთის ფურცლებს, როდესაც გაიხსენებთ, რომ თვით ეს დასახელებულნი ავტორნი ჯერ ეხლა იდგმენ ენას და, მაშასადამე, მათი მერმისი კიდევ წინ არის,—სიამოვნებით და იმედიანად გაჩერდებით მათს ნაწერებზედ, რომელთაც ის ღირსება მაინც აშკარად ეტყობა, რომ მკითხველს ძალა-უნებურად ჩააფიქრებენ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგიანობისა და მიმდინარეობის ვითარებაზედ.

„ქრისტინე“ ბ-ნ ნინოშვილისა, ჯერ „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, ეხლა ცალკე წიგნად გამოუციათ. მოთხრობა აშენებულია შემდეგს ამბავზედ.

სოფელ ნიგვზიანში მეზობლადა სცხოვრობენ მდიდარი აზნაური ბეჟან უქმაძე და ღარიბი გლეხი დათია ხელმოკლიძე. ბეჟანსა ჰყავს ოცი-ოც-და-ორის წლის ვაჟი იასონ, სასწავლებლის მესამე კლასიდგან გამოგდებული, უსაქმო, მოქეიფე, მომღერალი, მოარშიყე და ლამაზი ახალგაზდა. ხოლო დათია ხელმოკლიძე შეჰხარის თავის თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ტურფად აგებულს ქრისტინეს. ამ საშიშ მეზობლობას მოჰყვა ადვილად გასაგები სიყვარული ახალგაზდა კაცსა და ქალიშვილს შორის. იასონმა ფიცი მისცა ცოლქმრობისა და შეაცდინა ქრისტინე. ქრისტინეს ეყოლა შვილი, გაუტყდა სახელი სოფელში, შერცხვა დათიას ოჯახი. ახალგაზდა ქალმა ვერ აიტანა მშობელთა საყვედური, სოფლის ენა, ადგა და ტფილისს გამოჰყვა ერთს ახალგაზდა გლეხის ქალს, რომელსაც სონას ეძახდნენ. სონა კარგა ხანია შექმნილიყო იმ არსებად, რომელსაც მწერლობაში ჰქვიან „მსხვერპლი საზოგადოებურის ტემპერამენტისა“. ტფილისში ქრისტინეც მალე დაადგა სონას გზას და ხელობას, თავისის სილამაზით სახელიც გაიკეთა მოქეიფე ბიჭებში. ერთხელ მის გულისთვის შუღლიც ჩამოუვარდათ „კამპანიაში“, სადაც ისე დასჭრეს ქრისტინე, რომ სულ ერთიან დაუსახიჩრდა პირ-სახე, რის გამოც დაჰკარგა საშვალება ლუკმა პურის მოპოვებისა და მიჰმართა მათხოვრობას, ქუჩა-ქუჩა წანწალს. ამას მოჰყვა ავადმყოფობა და სიკვდილი უპატრონოდ, ნაცნობისა და ნათესავის უნახავად.

როგორც ჰხედავთ საგანი ჩვეულებრივია და ძლიერ მარტივი გახლავთ, და ეხლა ვნახოთ, როგორ შეასრულა ჩვენმა ავტორმა ეს მარტივი საქმე.

**

ვიდრე მოთხრობის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევატყობინოთ მკითხველს. რომ სიმარტივე „ქრისტინეს“ სიუჟეტისა იმიტომ-კი არ დავასახელეთ, რომ ამით წუნი რამ დავდოთ ავტორის ნაწარმოებს. სულაც არა. ჩვენის აზრით, რამდენიც მარტივი და ჩვეულებრივი საგანი აქვს აღებული მწერალს, მით უფრო მომეტებული ნიჭია საჭირო, რომ ეს ჩვეულებრივი საგანი საინტერესოდ შეჰქმნას მკითხველთათვის და აღუძრას ხალისი ნაწერის ჩაკითხვისა ბოლომდე. როდესაც ამისთანა საგანს მოჰკიდებს ხელს სუსტის ნიჭის პატრონი, საეჭვოა, რომ მიიქციოს ვისიმე ყურადღება—„ეგ ვინ არ იცისო“—იტყვის მკითხველი და უკმაყოფილოდ გადასდებს გვერდზედ ასეთის მწერლის ნაწარმოებს. ამას-

ვარდა, გამოვიდა გარედ, ნახა საქონლის სადგომის კარი ღია იყო, მობრუნდა, ორი ნაბიჯი რომ გადადგა, ხარებს ზედ წააწყდა. იფიქრა, ალბად კარები ღია დამრჩომია და თვითონ გამოსულანო, ხარები ისევ უნდა შეერეკნა, რომ იგრიალა თოფმა და ყაითმაზოვს მოხვდა. ქურდებმა ორი ცხენი გაიტაცეს. თოფის ხმაზედ, მეზობლები მოგროვდნენ, საბრალო გაცირას ექიმობა დაუწყეს შინაურულად, ანტონის ცეცხლი გაუჩნდა და საცოდავი მეოთხე დღეს გარდაიცვალა.

4 აგვისტოს კიდევ ერთს მარტოხელა მოხუცს, დავითა ფხალაგოვს, მოჰპარეს ოთხი ხარი. იმ წინა დღეს კიდევ ერთს კაცს კავკავის ახლო დახვედროდნენ ავაზაკები, თვითონ მძიმედ დასჭრეს და ორი ცხენიც წაართვეს. ამის მეორე დღესვე სოფ. ხუმელაგისა და სოფ. ბესლანის საზღვარზედ შუადღისას მოდენილიყო ერთი კაცი. აქ დახვედროდა ვილაცა, ჩაეჭრა ერთი ცხენი და გაეტაცნა. ს. ხუმელაგაშივე ერთს დაუნგრიეს ეზოს გალავანი ფიცრისა და გარეკეს ორი ცხენი. რამდენი ამისთანა ქურდობა და კაცის კვლაა სხვა-და-სხვა მხარეს.

ერთი უბედურება ეს არის კიდევ, ბარის ოსეთის თავს, რომ იარაღის ნებას არ აძლევენ. რა ჰქმნას საბრალო ოსმა, ქურდი მოდის ანუ გვხდება თავიდან ფეხამდის შეიარაღებული და შენ-კი დედაკაცივით (აქ უიარაღო კაცს ასე ეძახიან) უიარაღოთა ხარ, რას იზამ, რომ ძლიერ განთქმული ვაჟკაციც იყო?

ქართველი ოსებში

---

**სოფ. ვაქირი** (სიღნაღის მაზრა), 10 აგვისტოს. სოფ. ვაქირი არის ერთ უდიდეს სოფელთაგანი მთელს ქიზიყში. იგი შეიცავს 800 კომლამდე მცხოვრებს და მდებარეობს ქალაქ სიღნაღიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთით ოთხის ვერსის სიშორეზედ. სოფელი შეფენილია ცივ-გომბორის შტოს სიმაღლეზედ, საიდგანაც მთელი ალაზნის ველი ზაქათალის ოლქამდის ისე სჩანს, როგორც ხელისგული. ამ სოფელში არის ერთი უძველესი და უმშვენიერესი ტაძარი. იგი არის აშენებული მეთექვსმეტე საუკუნეში კახეთის მეფის იულონის მიერ. ეკკლესიაში ამ ჟამად არის ორი სამწირველო: ერთი, უმთავრესი, იოანნე ნათლის-მცემლისა და მეორე იოანნე ღვთის-მეტყველის სახელობაზედ. ეს უკანასკნელი სამწირველო არის მოთავსებული სამხრეთით, ტაძარზედ მიშენებულ სამხროში; აქვეა სალარო, სადაც ინახება ტაძრის ქონება და ერთიც ოთახი ღამის მთევლეთათვის. ჩრდილოეთით მიშენებული სამხროკი გაუქმებულია სიძველის გამო. ტაძარი შიგნიდგან არ არის მხატვრობით მორთული.

თუმცა ტაძარი კარგა მოზრდილი და მოხდენილია, მაინც მას აქამდისინ არ ამშვენებდა შესაფერი სამრეკლო. წელს-კი ეს ნაკლიც შეივსო. აწინდელ ახალგაზდა მღვდლების შთაგონებით, ხალხმა შეიგნო დიდებულის ტაძრის ნაკლი და თავისისავე ხარჯით მიაშენა დასავლეთით კარგი და მოხდენილი სამრეკლო, რომელსაც ამშვენებს სამი დიად მოზრდილი ზარი, რომელთა ხმა, როგორც ამ სოფელში მკვიდრთ, ისე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა და უმეტესად მინდორში კარგა მანძილზედ მომუშავე ქრისტიანთ მოაგონებს თავის ქრისტიანულს მოვალეობას.

წელს აქ კარგი მოსავალია. პური და ქერი მოვიდა უხვად. ფეტვსა და სიმინდსაც არა უშავს-რა, მაგრამ უწვიმობამ გვარიანად ავნო. აი, თითქმის თავდება ზაფხული და ერთხელაც არა ღირსებია აქაურობას რიგიანი წვიმა. გვალვამ უფრო ავნო ვენახებს, ვაზს ძალიან თხელი მტევანი ასხია და ისიც სიცხისა გამო ნახევრობით გამჭკნარი. თუ ღმერთმა ჰქნა და ცამ გაუღიმა აქაურობას და ჟუჟუნა წვიმა გამოუგზავნა, კიდევ იმედია ყურძნის მოსავალიც წელს რიგიანი იქმნება, შარშანდელზედ არა ნაკლები.

ამ ჟამად აქ კოდი პური ფასობს ორ მანეთ ნახევრად და კოდი ქერი, ფეტვი და სიმინდი არა უმეტეს შვიდ აბაზისა. არიან ისეთი გაჭირვებულნიც, რომელნიც კოდ პურს ორ მანეთად იძლევიან. საჭიროა აქაურმა მკვიდრმა მოიგონოს შარშანდელი მოუსავლიანობა; იქონიოს სახეში, რომ შიმშილისა გამო იგი იკვებებოდა ბალბით, ჭინჭარით და სხვა ბალახეულობითსა და ისე მოიხმაროს უფლიდგან მოცემული წლის მოსავალი. გაიხსენოს, რომ კოდი პური შარშან ხუთ მანეთად ფასობდა; ფული რო ყოფილიყო, კაცი პურს ვერ შოულობდა,—და ისე ასწონ-დასწონოს, რომ საგაისოდ სასყიდელი აღარ გაუხდეს. ნუ აჰყვება ფეხის ხმას და თავის ოფლით მონაგარ წლის მოსავალს ჩალის ფასად ნუ გადაჰყრის.

ეხლავე დაიწყეს სოფლად ხეტიალი ჩარჩებმა და პურის ყიდვა; აძლევენ კოდში სამ მანეთსაც. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში პურის ფასი აიწევს და ეხლა ნუ ავჩქარდებით, თორემ აჩქარებით საქმე არ გაკეთდება. იმედია ადგილობრივი მოხელე—მამასახლისი გააფრთხილებს ხალხს, რომელმაც იგი თავის პატრონად ამოირჩია ეს მეორედ.

---

## ანდერძი

(გიუ დე-მოპასანისა)

ცოლ-ქმარი სერბუა დაღვრემილის სახით ისხდა ოთახში და სადილს ათავებდა. სერბუას ცოლი, შავგვრემანი ქალი, თავ-დახრილი მიირთმევდა პურს, გეგონებოდათ თავში რაღაც ფიქრი უძევსო. თითონ სერბუა, მაღალ ტანის კაცი, სხვა ფიქრს წაეღო.

„დიაღ, ძალიან საკვირველი არის“! ჩაილაპარაკა თავისთვის.

— რა იყო, ჩემო ძვირფასო? ჰკითხა ცოლმა.

— ის იყო, რომ ვოლდეკმა ჩვენ არაფერი დაგვინარჩუნა.

ცოლი ჭარხალივით აენთო; მთელს პირი-სახეს წითელი ფერი გადაედო.

— შეიძლება ანდერძი ნოტარიუსთან იყოს შენახული, სთქვა მან: ჩვენ-კი არა ვიცოდეთ-რა.

მისი სახე-კი სულ სხვას ამბობდა.

სერბუა ჰფიქრობდა: „დიაღ, ეს შესაძლოა: რაც უნდა იყოს, ის კაცი ჩვენი კარგი ნაცნობი იყო. ხშირად დაიარებოდა ჩვენთან; კვირაში ერთხელ მაინც სჭამდა ჩვენთან პურსა. მე კარგად ვიცი, იმას არა ერთხელ მოურთმევია შენთვის საჩუქარი, რასაკვირველია, პატივისცემის გადასახდელად. მაგრამ, როცა კაცსა ჰყავს კარგი მეგობარი, ჰგონია სიკვდილის შემდეგ დაუნარჩუნებს რასმე,—მაგალითად, მე რომ გავხდომილიყავი ავად, მეგობარი არ დამავიწყდებოდა.

ცოლმა თავი დაღუნა. იმ დროს, როცა ქმარმა შემწვარ ქათამს დაუწყო ჭრა, ისე ნაირად მოიხოცა ცხვირი, გეგონებოდათ სტირისო. სერბუამ განაგრძო:

— ისიც შეიძლება, ნოტარიუსსა ჰქონდეს ანდერძი; შეიძლება ამხანაგმა ცოტა რამ დაგვინარჩუნა. მე ბევრი არ მინდა: მსურს მხოლოდ სახსოვრად დამრჩეს რამე.

— თუ გინდა, გაუბედავის ხმით სთქვა ცოლმა, სადილს უკან შევიაროთ ბატონ ლამანერთან, შევიტყოთ ყველაფერი.

— დიაღ, წარმოსთქვა სერბუამ, მაგაზე კარგი რაღა იქნება!..

როცა ისინი შევიდნენ ლამანერთან, მოსამსახურემ უჩვენა ნოტარიუსის კაბინეტი და სთხოვა შებრძანებულიყვნენ.

ნოტარიუსი გახლდათ პატარა დარგვალებული ადამიანი, სუფთა, ფაქიზი; გეგონებოდათ, ეს არის ეხლა წყლიდან ამოსულაო. ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და ხელით ანიშნა დაბრძანებულიყვნენ.

— მე ამ დღეებში მინდოდა თქვენთვის შემეტყობინებინა, წარმოსთქვა მან და სერბუას მეუღლეს გადახედა,—კარგია თქვენ თითონ მობრძანდით; მინდოდა გადმომეცა შინაარსი ვოლდეკის ანდერძისა, რომელიც თქვენ სასარგებლოდ არის შედგენილი.

სერბუამ ველარ მოითმინა:

— ა! მეც მაგრე მეგონა.

ნოტარიუსმა სხვანაირად ჩაიცინა და მერე დაუმატა:

— მე თქვენ წაგიკითხავთ ამ კარგს ქალალდს.

აიღო ანდერძი და დაუწყო კითხვა:

„მე, ქვემორე ხელის-მომწერელი, პოლ-ემილ-კიპრიან-ვოლდეკი, ვასრულებ ჩემს უკანასკნელს სურვილს. სიკვდილს შეუძლიან ყოველს წუთს ჩვენი წაღება: ამის გამო მე მოვინდომე ანდერძის დაწერა, რომელიც ბატონ ლამანერთან იქნება შენახული. რადგანაც მემკვიდრენი არა მყვანან, ჩემს ქონებას. რომელიც შესდგება ფულად 400,000 ფრანკისაგან და ძვირფას ქაღალდებისაგან, 600,000 ფრანკისა, ვუტოვებ ქალს კლარა-გორტენზია სერბუას. ვთხოვ მიიღოს ეს საჩუქარი თავის მეგობრისგან ნიშნად ღრმა სიყვარულისა“.

დაწერილია პარიჟში, 15 თიბათვეს 1883 წ.

მოწერალია: ვორდეკ.

სერბუას ცოლი თავ-დაღუნული ისმენდა კითხვას და უძრავად იჯდა. თითონ სერბუა გაკვირვებულის თვალებით ხან ცოლს შესცქეროდა, ხან ნოტარიუსს. ბატონ ლამანერს გაეცინა და ერთის წამის შემდეგ სიჩუმე დაარღვია:

— რასაკვირველია, ბატონო, თქვენს მეუღლეს შეუძლიან ამ ფულის მიღება თქვენის თანხმობით.

ბატონი სერბუა წამოდგა თავის ადგილიდან.

— მე გთხოვთ, დრო მომეცით მოსაფიქრებლად, წარმოსთქვა მან.

ნოტარიუსმა თავი ძირს დაღუნა.

— მე მესმის, ბატონო, თქვენი მდგომარეობა: ქვეყანას დიდი ენა აქვს. თუ შეიძლება, ხვალ შემატყობინეთ თქვენი პასუხი.

— ბატონი ბრძანდებით; ხვალამდინ! სთქვა თავის დაკვრით ბატონმა სერბამ.

ამ სიტყვების შემდეგ ჩაჰკიდა ცოლს ხელი-ხელს და გავიდა ისეთის სახით, რომ სუყველა დააფეთა.

ცოლ-ქმარი დაბრუნდნენ სახლში. სერბუამ ჩაჰკეტა ოთახის კარები და სთქვა მაღალის ხმით:

— შენ ვორდეკის საყვარელი იყავი?

ქალი უცბად მობრუნდა.

— მე?..

— დიაღ შენ!... მთელს თავის საცხოვრებელს არ დაუტოვებენ ქალს, თუ... ცოლი გაყვითლდა, ხელებმა ცახცახი დაუწყეს. პატარა ხანს შემდეგ წარმოსთქვა:

— რა სულელი ყოფილხარ... რა სულელი... შენ თითონ არ მოელოდი, რომ... რომ... ის რამეს დაგვინარჩუნებდა?...

— დიაღ, იმას შეეძლო ჩემთვის დაენარჩუნებია... ჩემთვის... ჩემთვის, გესმის; შენთვის-კი არა.

ცოლმა შეჰხედა ქმარს თვალებში, თითქო საიდუმლო უნდა ამოეკითხნა იქიდან და ისე მოქცეულიყო. ბოლოს გაგრძელებით სთქვა:

— მე მგონია, რომ... ანდერძი შენს სახელზე უფრო... გასაკვირველი იქმნებოდა ყველასათვის.

— ვითომ რისთვის?

— მიტომ, რომ... დაიწყო ცოლმა, მაგრამ ვერ გაათავა და მიბრუნდა. ქმარმა ოთახში სიარული დაიწყო.

— შენ არ შეგიძლიან იმის მიღება, სთქვა მან.

— რასაკვირველია , წარმოსთქვა ცოლმა. რიღასთვის უნდა ვიცადოთ ხვალამდინ, სჯობს ეხლავ ჩვენი პასუხი შევატყობინოთ ნოტარიუსს.

სერბუა ცოლის წინ გაჩერდა. ისინი დიდს ხანს უცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში, ჰსურდათ გაეგოთ ერთმა-

---

თანავე, გეცოდინებათ, რომ თითქმის ყოველი უდიდესი პოეტიც-კი თავის შემოქმედობის საგნად ზოგჯერ აიღებს ხოლმე სრულებით მარტივს საგანს, რომელიც გასაგებია ყველასთვის და ყველასაც მოეჭიდება გულზედ, როგორც ნაცნობი და იქნება ნაგრძნობიც; მაგრამ ამ მარტივს საგანს ააჭრელებს ისეთის ფერადის ძაფებით, რომ უყურებთ და გიკვირთ გულთამხილაობა ავტორისა, რომელსაც ისე უნაკლულოდ ესმის მიზეზი და შედეგი ადამიანის გულის ყოველ უმნიშვნელო მოძრაობისაც-კი. აშკარაა, რომ ამის შემდეგ ჩვენ საყვედურისთვის არ გვიხსენებია სიმარტივე „ქრისტინეს“ შინაარსისა. ხოლო ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ სიმარტივე საგნისა ავტორს უპირველეს ვალადა სდებს, რომ იგი არას გზით არ ასცდეს სინამდვილეს და არ გადუხვიოს მართალს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუჭირდება მოიგოს მკითხველის გული ან სურათების სიმდიდრით, ანუ თანაგრძნობით უბედურთა მიმართ, ანუ ფერადის სიტყვებით. მარტივ საგანში სიყალბეს მიჰხვდება ყველა, ვისაც-კი შეუძლიან დაწერილის ამოკითხვა, და საზოგადოდ საქმეში სიყალბე არ არის კარგი ნიშანი.

ქრისტინეს თავ-გადასავალში სამი მძიმე მომენტი აქვს აღებული ავტორს. პირველი გახლავთ შეცდენა გასათხოვარის ქალისა ვაჟის-მიერ, მეორე—დედისაგან დატოვება უსუსურის შვილისა და მესამე—გარდაქმნა ნამუსიანის ქალისა „მხვერპლად საზოგადოების ტემპერამენტისა“. ერთ-ერთი ამ მომენტთაგანი რომ ხელოვნურად და სინამდვილით გარდმოეცა ჩვენს ახალგაზდა ავტორს, თამამად შეგვეძლო მიგველოცნა ქართველ საზოგადოებისთვის, რომ მას შეემატა ადამიანის გულის მცოდნე მწერალი, და ავტორის აშკარა ნიჭიც უფრო ძვირფასი შეიქმნებოდა ჩვენთვის ნამეტურ მითი, რომ ეგ ადამიანის გული იქმნებოდა ქართველის გული, რომელიც ჯერ ასე ნაკლებად არის შესწავლილი და დასურათებული. ერთ-ერთ ამ მომენტთაგანზედ უეჭველად უნდა ეცადნა ავტორს თავისი ძალ-ღონე და, თუ ამისთანა განსაცდელიდგან გამარჯვებული გამოვიდოდა იგი, მაშინ მისს სპეტაკ მერმისს წინ აღარა გადუდგებოდა-რა.

სამწუხაროდ, ეს სამივ ძნელი მომენტი, რომელთა ზედაც ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ბედი ქრისტინესი, ძრიელ ადვილად და იაფად მოუშორებია ბ-ნ ნინოშვილს თავიდგან. მაგალითად, ავტორი გვეუბნება, რომ მოარშიყე იასონი, რომელსაც ძნელად გაუმაგრდებოდა ქალი, რომელმაც „ბევრ ტკბილ ცოლ-ქმრობას გადაასხა მწარე ნაღველი, ბევრის ოჯახის ტკბილი ცხოვრება შეარყია და გაამწარა, ბევრს გასათხოვარ ქალს მოჰხადა ლეჩაქი“, ჰო, ასეთი იასონი მთელი ერთი წელიწადი მოუნდა, რომ სათნოიანი და თავ-დაჭერილი ქრისტინე დაეახლოვებინა მარტო სალაპარაკოდ, თუმცა ძრიელ ხშირად დაიარებოდა დათიასას და თუმცა თვით ქრისტინესაც მოსწონდა იგი. ჩვენ ძლიერ ადვილადა გვჯერა ეს ამბავი საზოგადოდ ქართველის და ნამეტურ ქართველ გლეხის ოჯახში და ამის გამო სამართლიანად მოველით, რომ ქალი, რომელსაც „დიდ განძად მიაჩნდა თავისი ნამუსი და ქალწულობა“, რომელსაც მთელი ერთი წელიწადი მორიდებით ეჭირა თავი, ერთს წამში მაინც არ დაჰყვებოდა იასონის წადილს და ცოტაოდენს, თუ ხანგრძლივს არა, შინაგანს ბრძოლას მაინც გამოიჩენდა. მაგრამ არა, გაუფრთხილებელმა ავტორმა სრულებით მომატებულად ჩასთვალა ყოველივე ბრძოლა და მხოლოდ ორიოდე უმნიშვნელო სიტყვა ათქმევინა ქრისტინეს მასზედ, რომ იგი ღარიბი ქალია გლეხისა და იასონი-კი მდიდარი და „ნასტავლი“ აზნაურიშვილია და რომ ისინი საერთმანეთონი არ არიან. საკმარისი იყო, რომ იასონს ამოეღო უბიდგან პატარა ხატი და ეთქვა: „ვფიცავ ამ ნაწილიან ღვთის მშობლის ხატს, რომ შენს გარდა სხვაი ქალი არ შევირთო. ამის მადლი გაუწყრეს შენს მოღალატეს! აჰა, გჯერა თუ არა“?—ჰო, საკმარისი იყო ეთქვა ეს საყოველდღეო სიტყვები, რომ ქრისტინეს მიეშვირნა თავისი მშვენიერი ტუჩები იასონისთვის და ორივენი დამტკბარიყვნენ მხურვალე და ტკბილის კოცნით. მერე, ხომ კარგად ვიცით, რაც მოჰყვა ამ საოცნებო კოცნასა და სიტკბოებას.

**

ვთქვათ, დაუჯერეთ ავტორს, რომ

ნეთის აზრი, უკედ გაეცნოთ ერთმანეთი, ჩასძრომოდნენ ერთმანეთს სულში. ბოლოს ქმარმა ნელის ხმითა სთქვა:

— გატყდი, იმის საყვარელი იყავი?

— მაშ ეხლაც სულელი არა ხარ?... მართალია, ვორდეკს ვუყვარდი, მაგრამ მე იმისი არა დროს არა ვყოფილვარ, არა დროს.

— სტყუი, ეგ შეუძლებელია!

ცოლმა მშვიდობიანად უპასუხა: „გეუბნები, ასე იყო-მეთქი.“

— ამიხსენი, რიზე ან რის გულისთვის დაგინარჩუნა მთელი თავისი ქონება?

— ძალიან ადვილი მისახვედრია, უზრუნველად უპასუხა ცოლმა: როგორც შენა სთქვი, იმას ჩვენს მეტი მახლობელი არავინა ჰყავდა; განსვენებული კარგად იყო ჩვენს სახლში მიღებული, გასაკვირველიც არ არის, რომ ჩვენ არ დაგვივიწყა, მხოლოდ ზრდილობიანობის გამო ანდერძში ჩემი სახელი მოიხსენია, რადგანაც თავში სწორედ ჩემი სახელი მოუვიდა. ესეც გასაკვირველი არ არის: მე მაძლევდა ხოლმე საჩუქრებს და არა შენ, ასე არ არის? იმას ჩვეულებადა ჰქონდა ყვავილებისა და კანფეტკების მოტანა ყოველთვის 5 რიცხვში, რადგანაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით 5 თიბათვეს, ეს შენც ხომ იცი. თავის დღეში იმას შენთვის არა უჩუქებია-რა; ის ამაზედ არ ჰფიქრობდა. საზოგადოდ ქალს ასაჩუქრებენ ხოლმე და რა გასაკვირველია, რომ უკანასკნელი საჩუქარიც ჩემს სახელზედ ყოფილიყო.

ეს ისე სიმშვიდით სთქვა, ისე დაწყნარებით, რომ ბატონმა სერბუამ ყოყმანი დაიწყო.

— სულ ერთია, სთქვა მან: ამ გვარი მოქმედება ვერ არის კარგი; ქვეყავა რას იტყვის? ჩვენ არ შეგვიძლიან იმის მიღება.

— როგორც გსურდეს, ჩემო კარგო. ჩვენ ჯიბეს ერთი მილიონი დააკლდება, მხოლოდ ეს იქმნება.

ბატონი სერბუა ხმა-მაღლა ჰფიქრობდა:

— დიაღ, მილიონი! ეს შეუძლებელია! უნდა ნახევარი ჩემს სახელზედ დაენარჩუნებინა, მაშინ კარგი იქმნებოდა.

სერბუა დაჯდა, ფეხი ფეხს გადაიდო და ჩაფიქრდა. ცოლმა გააღო სამუშაო სტოლი, აიღო საკერავი და სთქვა.

— ჩემთვის სულ-ერთია. ისე მოიქეცი, როგორც შენ გსურდეს.

ქმარმა ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა:

— მგონი ერთი გზა-ღა დაგვრჩენია: შენ შეგიძლიან ნახევარი ქონება ჩემს სახელზედ გადმოიტანო. ჩვენ შვილები არა გვყავს, შენ არაფერი დაგაბრკოლებს; ამით ქვეყანას დავაჩუმებთ.

— მე ვერ გამიგია, როგორ უნდა გააჩუმო?

სერბუა მოთმინებიდან გამოვიდა.

— რა მიუხვედრელი რამა ხარ! დავაგდოთ ხმა, ვითომ ანდერძის ძალით ნახევარი ქონება მე მივიღე, ნახევარი შენა. მგონი საჭირო არ არის, რომ ყველამ იცოდეს, ანდერძი მარტო შენს სახელზედ არის შედგენილი, თუ არა.

ცოლმა პირ-და-პირ შეჰხედა.

— როგორც გინდა, ჩემთვის სულ-ერთია.

ქმარი წამოდგა და დაიწყო ოთახში სიარული. სახე სხვა-და-სხვა გვარად ეცვლებოდა.

— არა... სჯობს სრულებით უარი ვუთხრათ... ასე ეჯობინება... მაგრამ ისე რომ მოვიქცეთ, როგორც მე გირჩევ, მაშინ ვერავინ ვერას იტყვის... ამ გვარი მოქმედება ყველას გააჩუმდება.... დიაღ, მაშინ ყველაფერი გასწორდებოდა...

სერბუა ცოლის წინ გაჩერდა.

— თუ შენა გსურს, ჩემო კარგო, შემიძლიან მე წავიდე ბატონ ნოტარიუსთან, ავუხსნა საქმის გარემოება, რჩევა თხოვო. მე იმას ვეტყვი, რომ ეს შენი სურვილია.

— როგორც გინდა, უპასუხა ცოლმა.

სერბუამ განაგრძო:

— ჰო, ყოველისფერი აიხსნება ქონების გაყოფის დროს. ჩვენ იმისთანა მეგობარი გვყავდა, რომელმაც არ გამოგვარჩია ჩვენ ერთმანეთში. დარწმუნებული ვარ, რომ იმას არ უფიქრნია ანდერძის შედგენის დროს, როგორც შენა სთქვი, რომ შენ გასაჩუქრებდა მხოლოდ და არა ჩვენ ორივეს...

ცოლმა გააწყვეტინა:

— გეყოფა, მესმის, ბევრს,ნუღარ ლაპარაკობ. ეხლავ წადი ნოტარიუსთან.

ქმარმა რაღაც წაიბუტბუტა, გაწითდა და შერცხვა:

— შენ მართალი ხარ, მივდივარ“!

აიღო ქუდი და მივიდა ცოლთან საკოცნელად:

— ნახვამდის, ჩემო ძვირფასო.

სერბუა გახარებულის სახით გავიდა, ცოლმა-კი გააგდო სახლიდგან მარაო და ტირილი მორთო.

კ. ვ.

1893 წ. 26 ივლისს.

## წვრილი ამბავი

პერუში ააშენეს ახალი ობსერვატორია. სულ მაღალ სართულში ისეთი თხელი ჰაერია და მშრალი, რომ ძლიერ ხელს უწყობს ცის მნათობთა დათვალიერებას. შარშან, როდესაც მარსი ძლიერ დაუახლოვდა დედამიწას, სკიაპარელი გულდადებით ათვალიერებდა. სკიაპარელის დაკვირვებიდგანა სჩანს, რომ მარსს 30 კილომეტრის სიშორეზედ გარს ახვევია შავი ნისლი და ღრუბელი, რომ ატმოსფერა მარსზედ ისეთი მკვიდრი და მაგარი არ არის, როგორც დედამიწაზედ. მარსზედ შეუმჩნევია აგრედვე რამდენიმე დიდი არხი. პოლიუსების მახლობლად მოსჩანან აგრედვე მწვანე წერტილები, გარშემო თეთრად შემოსილნი. ამბობენ ეს წერტილები ტბები იქმნება და მის გარშემო ყინული მოსჩანს თეთრადაო. ასეთი დიდი წერტილები ემჩნევა ხშირად იქ, სადაც ორი არხი ერთმანეთს შეხვდება ჯვარედინად. ასეთი წერტილები თითქმის ორმოცი მოსჩანსო.

— ნიუ-იორკის ექიმმა სირუს ედსონმა ერთს არტისტ ქალს მისცა შემდეგი გაკვეთილი: ექიმს ჰყავდა ერთი ჭლექი. საბრალო ავადმყოფი რამდენჯერმე აარბევინა კიბეზედ. ავადმყოფი დასუსტებული დაეცა და სულს ებრძოდა. არტისტი ქალი კი ზედ დასცქეროდა და ყოველ მიმოხვრას ითვისებდა. ავადმყოფი მოასულიერეს, მაგრამ სიცოცხლე-კი გაუნახევრდა, თუმცა საჩუქრად ამისთანა გარჯისათვის 100 დოლლარი მიიღო არტისტ ქალისაგან.

— ინგლისს, შოტლანდიასა და ირლანდიაში სულ 649,714 მუშა კაცია ნახშირის მადნეულობაზედ. ამათში 110,000 ზემოთა მუშაობს, დანარჩენნი-კი მღვივ-მაღაროებში. ამას წინად უსიამოვნობა მოუხდათ მადნის პატრონებთან და 250,000 მუშამ ინგლისში თავი გაანება მუშაობას. მხოლოდ 100,000 მუშა-ღა მუშაობს ეხლა. ამის გამო ნახშირის ნიხრმა აიწია. ჩრდილორკინისგზის მმართველობამ 32 მატარებელი გააუქმა.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ამასთანავე ჩემ-მიერ შეგროვილ თერთმეტ მანეთს და 35 კაპ. შოთა რუსთველის ძეგლის ფონდისთვის. აია შემომწირველთა: დ. გამყრელიძე-50 კ., ანასტასია გამყრელიძისა 50 კ., ნ. ჭავჭავაძისა 50 კ., ს. მელქისეთხუცესოვი 50 კ., ვ. სულხანოვი 50 კ., ვ. გამყრელიძე 50 კ., დავით ნაჭყოვი 1 მ., ი. მელქისეთხუცესოვი 50 კ., ა. გამყრელიძე 50 კ., ს. ყოდილოვი 45 კ., დ. გოგალაძე 40 კ., გ. მაყაშვილი 60 კ., ე. ხეცურიანისა 50 კ. გ. მ. მაყაშვილისა 30 კ., მარიამ მაყაშვილისა 1 მან., ს. სეხნიევი 40 კ., გ. მელქისეთხუცესოვი 1 მან., ს. აბელოვი 50 კ., თამარ სვიმონოვისა 50 კაპ. თ. ბიაკევისა 20 კ. და ე. სულხანიშვილისა 50 კ.

დ. აწყურელი

8 მარიამისთვეს,
ს. აწყური

# დეპეშა

14 აგვისტო

**პეტერბურგი.** „მთავრობის მოამბე“ იუწყება, რომ ხერსონის არქიეპისკოპოზი სერგი დანიშნულ იქმნა მოსკოვის მიტროპოლიტად.

უმთავრეს საინტენდანტო მმართველობის საბჭომ გადასწყვიტა, 1894 წლისთვის ერთი-ორად იყიდოს ჭვავი ჯარისათვის, რაიცა შეადგენს 30 მილიონ ფუთს. ჭვავს იმ ადგილებში იყიდიან, სადაც ფასი დაიწევს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო 1896 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში გაიმართოს სრულიად რუსეთის გამოფენა, რომელიც აქამდე მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვში იმართებოდა. 1896 წლამდე უკვე მზად იქმნება უმეტესი ნაწილი ციმბირის რკინის გზისა, რაიცა დიდად შეუწყობს ხელს ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენას. ამის პასუხად იარმუკის კომიტეტის თავმჯდომარემ მოროზოვმა სთხოვა მინისტრს, სრულიად რუსეთის ვაჭრების სახელით გამოუცხადეთ ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილეს გრძნობასთან ერთად უმდაბლესი მადლობა უმაღლეს წყალობისათვის. დასასრულ მოროზოვმა სთქვა: ეკონომიურის დამოუკიდებლობის მოპოვება არ შეიძლება უმსხვერპლოდ; ჩვენ მით უფრო მზადა ვართ ამ მსხვერპლისთვის, რადგანაც გვჯერა, რომ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ. უხვად დასაჩუქრებულს რუსეთის მიწასა და ერს არ შეჰფერის უცხოელთა მონობა“. ფინანსთა მინისტრმა სთქვა პასუხად: ძლიერ მესიამოვნა აქ შეგროვილ ვაჭრებისაგან გამეგონა აზრი შესახებ საბაჟო ომისა. ჩვენ გვსურდა თავიდგან აგვეცილებინა უსიამოვნო ამბავი და გამოვაცხადეთ სურვილი, როგორმე მოვრიგებულიყავით, რაიცა ორთავე სახელმწიფოსათვის სასიამოვნო იქმნებოდა, მაგრამ აწინდელის მშვიდობიანობის სურვილმა არ უნდა დაგვავიწყოს ფიქრი მომავალზედ; ძლიერ დიდი შეცდომა იქმნებოდა, რომ აწინდელ უსიამოვნო ამბავის ასაცილებლად, ისეთს პირობებზედ დავთანხმებულიყავით, რომელიც რუსეთის წარმოებას შეაფერხებს მომავალში. ჩვენ გერმანიისაგან არავითარს მსხვერპლს არ მოვითხოვთ. რუსეთის სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გერმანიაში, რომელთანაც რამდენსამე საუკუნეს მეგობრული კავშირი გვქონია, მიღებულ იქმნას ისეთივე წესიდ გარდასახადი რუსეთიდგან შეტანილ საქონელზედ, როგორც სხვა სახელმწიფოებიდგან შეტანილ საქონელზეა. ჩვენარა ვსთხოვეთ გერმანიას ისეთ ტარიფის შემცირებას, რომელიც მთელის ქვეყნისთვის არ მიუნიჭებია. თუ გერმანიას მხოლოდ ტარიფის მომატებით შეუძლიან რუსეთი დანარჩენ ყველა სახელმწიფოს გაუთანასწოროს, ამ ტარიფის მომატებასაც დავსთანხმდებით. რუსეთი რომ დანარჩენ ყველა სახელმწიფოს გაუთანასწორდეს, გერმანიას არა დააკლდება-რა, რადგანაც მისთვის სულ ერთია საიდგანაც მიუვა საჭირო საქონელი, რუსეთიდგანა თუ სხვა სახელმწიფოდგან. გერმანიის მთავრობის სურვილს სულ სხვა ხასიათი აქვს. რუსეთს უკანასკნელ დღემდე, მიუხედავად სავაჭრო ტრაქტის უქონლობისა, გერმანიისთვის არ დაუწესებია ისეთი მძიმე სადამოჟნო პირობები, როგორც გერმანიამ სხვა სახელმწიფოებს მიანიჭა. რუსეთს ყველასთვის ერთგვარი ტარიფი ჰქონდა, მაგრამ გერმანია ეხლა ამ თანასწორ ტარიფის დაწევასა გვთხოვს. დიაღ, ჩვენ მხოლოდ ისა გვსურს, რომ გერმანია

---

ქრისტინე, სიყმაწვილისა გამო, მოსტყუვდა იასონის ფიცით, და, თუმცა თითონ „უსწავლელი“ და ღარიბი გლეხის ქალი იყო, ხოლო იასონი-კი მდიდარი დ „სტავლული“ აზნაურშვილი, მაგრამ დაანდო გული სატრფოს სიტყვებს, ვითომც იასონი შეირთავდა; დავიჯეროთ, რომ, რაკი იასონმა უთხრა—„მოწიფული კაცის სისხლი მიდუღს და ველარ მომითმენია“ ქორწინებამდეო, ქრისტინემ ველარა წაუყენა-რა ამ ძლიერს საბუთს საწინააღმდეგოდ, დასთმო თავისი უმანკოება, ნამუსი და, ნდობისა გამო, გაიუბედურა თავი. ჰო, ვთქვათ, ყოველივე ესეები დავიჯერეთ, მაგრამ დედის მოვალეობას მაინც რას ემართლებოდა ავტორი? „ავტორს“ ვამბობთ იმიტომ, რომ, ჩვენის აზრით, აქ ქრისტინეს არა ვითარი დანაშაული არ მიუძღვის, ეს დანაშაული ავტორმა, რასაკვირველია განუზრახველად, შესწამა საწყალს ქალს. აქ სიყმაწვილით ვერას გზით ვერ ახსნით იმ სიადვილეს, რომლითაც ქრისტინემ მიატოვა თავისი ძუძუთა გოგი და გაექცა მარგალიტის მსგავს ვაჟი-შვილს. დედობრივი მოვალეობა ბუნებური ინსტიკტია, იგი უკანასკნელ პირუტყვსაცა აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში, მაგას სწავლა არ უნდა, არც ხანში შესულობა. სათნოიანი ქრისტენე, რომელმაც დასთმო თავისი ქალწულობა, ვერ დასთმობდა თავის შვილს იმ გარემოებაში, რომელიც დაგვიხატა ავტორმა. მაშ რა ექმნა უბედურ ქალს, რომელსაც სოფელი მასხარად იგდებდა და მამა სცემდაო?—ძალიან კარგი და, ქრისტინემ ხომ წინადვე იცოდა, რომ სოფელი სხვაფრივ არც მოეკიდებოდა. რაც შეეხება მის მამას, დათიას, ამან მარტო პირველში სცემა და ათრია თმებით. შემდეგ ნელნელა უწყნარდებოდა გული და, თუ გამოიღებდა ხელს, ეგეც მაშინ, როდესაც თვითონ ქრისტინეს ველარ დაეჭირა ცრემლი თავის უბედურობისა გამო და მოჰყვებოდა ტირილსა და ქვითინს. თქვენ გკითხავთ, ან-კი რომელი მამა დაუკოცნიდა პირს თავის თექვსმეტის წლის ქალს, რომელსაც ჯერ ძუძუ არ შეჰშრობია ტუჩებზედ და შვილიერებას-კი შესდგომია უქორწილოდ და სხვანი? სოფლისა და მშობლების მოპყრობა ქრისტინესთან მოულოდნელი არ იყო ამისთვის, არც მოთხრობიდგანა სჩანს, რომ ეს მოპყრობა ჯოჯოხეთის სიმწარედ გარდაჰქმნოდა უბედურ ქალს, რომელსაც თანამგრძნობი და დობილიც-კი ჰყვანდა თავის საშინელ მდგომარეობაში, გლეხის ქალი მარინე. არა, ავტორი მაინც ანებებინებს თავს შვილისთვის და გამოისტუმრებს ტფილისისკენ სონასთან, რომელიც შლიაპით არის მორთული და მარტოკა დასეირნობს ქალაქიდამ სოფლისკენ და სოფლიდამ ქალაქისკენ. მერე, სცნობოდა მაინც ეს სონა ხეირიანად—წამოსვლის წინა დღეებში გაეცნო, ისიც მარინეს შემწეობით.

ასეთივე მოულოდნელია მკითხველისათვის ქრისტინეს დაუბრკოლებელი და სწრაფი გამოსვლა იმ საზიზღარ გზაზედ, რომელზედაც დადიან „მსხვერპლნი საზოგადოების ტემპერამენტისა“.

მიუხედავად ამ ძირითადის ნაკლისა, მოთხრობას მაინც გულის ძგერითა ჰკითხულობთ, და ეს გარემოება ბრალია ავტორის ჩინებულის ნიჭისა, რომლის შემწეობითაც მისი ნაწერი პირველსავე სიტყვით გაგიყვანთ ხოლმე იმ სფერაში, რომელსაც იგი გვიხატავს და რომელსაც ველარ მოაშორებთ თვალს, ვიდრე ავტორი უკანასკნელს წერტილს არ დასომს და არ ჩამოუშვებს ფარდას. ეს დიდი ღირსებაა მწერლისა, და ამ ღირსებას შეჰხვდებით ჩვენის ახალგაზრდა ავტორის ყოველ ნაწერში. ვისურვოთ, რომ ამ უტყუარსა და სახარბიელო ღირსებისთვის ავტორს დაემატებინოს სათანადო სიბრთხილე ადამიანის ულრმეს გრძნობათა გამოცნობაში. ამისთანა გრძნობებთან თამაშობა არავის მოუხდება.

ბ-ნ ნინოშვილის შესახებ არ გვინდა გავათაოთ ლაპარაკი, ვიდრე ორიოდე სიტყვას კიდევ არ ვიტყვით. მე მოგახსენებთ ჩინებულს გურულ კილოს, რომლითაც იგი ალაპარაკებს თავის გმირებს. „რეიზა“, „მიზა“, „სიკვტილი“, „მოესრობი“, „ნასტავლი“, და სხვანი, ზომიერად და გადუჭარბებლივ ხმარებულნი, საამურად მოქმედებენ მკითხველზედ და უფრო ახლო მიჰყავთ იგი ავტორის გმირებთან. სწორედ კაი აზრი მოჰსვლიათ გამომცემლებს, რომ ეს მოთხრობა ცალკე წიგნად დაუბეჭდიათ.

სტ. ჭრელაშვილი

ისე მოგვექცეს, როგორც ექცევა სხვა სახელმწიფოებს; ხოლო გერმანიის მთავრობას სურს დასწიოს ჩვენი ტარიფი, რომელიც დადგენილია ჩვენის საკუთარის მოთხოვნილების მიხედვით. ამ გვარი სურვილი გერმანიისა საბაჟო პირობებს ვაჭრობადა ჰხდის და ეს გზა, რასაკვირველია, მეტად სახიფათოა; საბაჟო ტარიფისთვის სხვა საბუთი არ არსებობს, გარდა სამართლიან ქცევისა; თუ სამართლიანობას გზა აუქციეთ, ბევრი მოულოდნელი ამბავი მოხდება; შეიძლება, მაგალითად, რომ ტარიფის დაწევამ, რასაც გერმანია თავის სასარგებლოდ სცდილობს, გერმანიის მაგიერად სხვა სახელმწიფოს მოუტანოს სარგებლობა; მაგრამ, ნათქვამია, არ შეიძლება, ცუდს კარგიც რამ არ მოჰყვესო,— ეხლანდელმა ამბავმა დაგვიმტკიცა, რამდენად ძლიერა სურთ მშვიდობიანობა რუსეთსა და გერმანიას, და ეს, რა თქმა უნდა, დიდად სანუგეშო ამბავია და შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ერთმანეთის ინტერესებს შევიწყნარებთ და როგორმე მოვრიგდებით კიდეც.

**ლონდონი.** ავღანის ემირმა გაუგზავნა წერილი ინდოეთის მთავრობის რწმუნებულს დიურანს, რომელიც ემირთან უნდა წავიდეს. წერილი მეტად თავაზიანია. ემირი ატყობინებს დიურანს, ესა და ეს ლონისძიება მივიღე, რომ ქაბულში წამოსვლის დროს თქვენა და და თქვენ მხლებლებს გზაში უბედურება რამ არ შეგემთხვეთო. დიურანი 2 კვირის შემდეგ შეუდგება გზას.

უკანასკნელი ცნობები ვალისში მუშების გაფიცვის შესახებ ვერაფერი სანუგეშოა. 50,000 მუშა ჯერ ისევ უსაქმოდ არის. ზოგიერთ ადგილებში ქვის ნახშირის ფასმა 50%-ით აიწია; რამდენიმე ქარხანა რკინისა და ფოლადისა უქმად არის.

საზოგადოებათა პალატამ დაამთავრა ირლანდიის ბილლის მოხსენების განხილვა. ორშაბათის დადგენილებისამებრ, საღამოს 11 საათზედ სპიკერმა გამოაცხადა, კამათობა დათავდაო. შემდეგ სამჯერ მოკრიბეს ხმები და მთავრობას 28 ხმა მეტი ამოუვიდა. ბილლის მესამედ განხილვა დანიშნულია მომავალ ოთხშაბათს.

16 აგვისტო

**პეტერბურგი.** ლიბავას სამხედრო ნავთსადგურის საძირკველის ჩაყრის გამო გამოცხადდა: უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სახელობაზედ და უმაღლესი ბრძანება ბალტიის ფლოტის მიმართ.

ზღვათა სამინისტროს მმართველი ადმირალი ჩიხაჩოვი დანიშნულ იქმნა გენერალ-ადიუტანტად.

„მთავრობის მოამბე“ იუწყება, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ცუდის ამინდის გამო დაგვიანდნენ ლიბავაში.

გზათა მინისტრი ცოტა ხნობით სამსახურს დაეთხოვა და წავიდა რკინის გზებისა და ნავთსადგურების დასათვალიერებლად. თავის თანამდებობის ასრულება დროებით ბ-ნ პეტროვს ჩააბარა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** საბჭომ ფინანსთა მინისტრი აირჩია ნიჟნი-ნოვგოროდის საპატიო მოქალაქედ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,74 | 7,77 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 154½ | 155½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 194¼ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 101½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში** ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |

## კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—09)

# მამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიათ ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—40) ალ. თუთაევი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

ვალერიან გუნიასი

# დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**